ᲐᲘᲠ
ᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲔᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲓᲘᲗ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ᲡᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

№ 166 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1923 Წ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲤᲐᲡᲘ 75,000 ᲛᲐᲜ. № 166

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ტფილისი, რუსთაველს პრ. ხელექტ. № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐ ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონეცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონეცებით.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის საზავო ხელშეკრულების ტექსტს ხელს მოაწერენ 24 ივლისს

— საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები მონაწილეობენ სრუტეების შესახებ კონფერენციაზე ხელის მოსაწერად.

— ინგლისის მთავრობამ შეადგინა მოკავშირეთა პასუხის პროექტი გერმანიის მემორანდუმზე.

— მესოპოტამიაში დაიწყო აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ.

— პოლონეთში ხდება შეიარაღებული შეტაკებები გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შაბათს 23 ივლისს, სადაღის 6 საათზე სახალხო სახლის დარბაზში (ყორესის ქ. ეოფ. კირკის)

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ. ᲒᲚᲔᲮ. ᲓᲐ Წ.-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. მოხსენება სექციური მუშაობის შემოდების შესახებ. მოხსენებელი ამხ. **ᲕᲐᲠᲫᲘᲔᲚᲘ.**
2. მოხსენება თბილისის ბიუჯეტის შესახებ—მოძხსენებელი ამხ. **3. ᲛᲔᲡᲮᲘ.**
3. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის შესახებ მოხსენება. მოძხსენებელი ამხ. **ᲯᲘᲯᲘᲨᲘᲜᲐᲫᲔ.**

ყველა წევრების დასწრება აუცილებლად საჭიროა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ. 521 2—1

ᲠᲗᲘ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ᲜᲘ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ იმ ფაქტის შესახებ, რომელსაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი ინგლისის თემთა პალატაში.

ᲗᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ, ფილიპე ᲛᲔᲪᲘᲜᲐ შეიტანა პალატაში წინადადება კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურზე თანდათანობით შეცვლის შესახებ.

ᲛᲔ საერთოდ წინაღმდეგი არა ᲕᲐᲠ ბურჟუაზიული პარლამენტის ᲛᲘᲜᲘᲡ გამოყენებისა სოციალისტური იდეების პროპაგანდისათვის. ᲛᲐᲒᲐᲛ ამ აზრს მხოლოდ დამბრკოლებლობა პროლეტარიატის კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლისის შუშათა კლასის. უმრავლესობა და მუშათა პარტიის უბრალო იმაში მდგომარეობს, რომ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ წამოჩოქებული არიან ᲛᲔᲜᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜᲝᲑᲘᲡ ფეტიშის წინაშე, ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ დაუღწევიათ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲔ ᲧᲝᲕᲔᲚ შემთხვევაში მათი ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და პატიოსან ელემენტად ᲛᲘᲩᲜᲘᲡ, რომ სოციალიზმის ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ შესაძლებელია მშვიდობიანი, ევოლიუციონური, პარლამენტური გზით. ესაა აშკარა ხელოვნება რევოლიუციონურ-კლასობრძოლაზე.

ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ მისტერ სნოუდენი ასეთი წინადადების შეტანას პალატაში, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა შესდგება ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ, კონსერვატორებისაგან, ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ და ლიბერალებისაგან, ᲛᲘᲖᲕᲐᲩᲜᲘᲐ კურიოზულ ამბავად. ᲒᲐᲛᲐᲡᲗᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐ მუშათა კლასის ᲠᲔᲠᲝᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ საქმის. და ეს ᲐᲠᲗᲐᲠ იმიტომ, რომ ინგლისის ᲛᲔᲜᲢᲘᲡ უდიდესი უმრავლესობა მუშათა კლასის უბოროტესისაგან შესდგება, რომელთა-ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ წყობილებაზე ᲛᲘᲖᲜᲘᲡ უპირატესობის მტკიცᲘᲜᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ თავზე სახარების“ კითᲮᲕᲔᲑᲘᲡ: ინგლისის მთავრობის ᲛᲘᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲯᲠᲘᲜᲯᲘᲡ სიტყვებით, ინგᲚᲘᲡᲘ დღევანდელი ეკონომიური ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ და ქოსლის მიზეზი ᲐᲠᲐ არსებულ კაპიტალისᲢᲘᲣᲠᲘ წყობილებაში, არამედ რაღაც ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ფაქტორებში, და სოᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ, მათი აზრით, არამც თუ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ საქმეს, არამედ უფᲠᲝᲓᲔᲑᲐᲡ და გაანადგურᲔᲡ მდგომარეობას.

ᲐᲛᲘᲗᲝᲛ და უმტკიცეთ ამ ვარᲐᲛᲘᲡ წინააღმდეგი: ეს სიზიფის ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ იქნება, სოციალისტური არᲐᲡᲘᲡ სრულიად გაუგებარი რამ ᲐᲠᲘᲡ კლასობრივი შემეცნებᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲐᲓ რომ მოხდეს ისეთი „სასᲢᲘᲣᲠᲘ“ და ინგლისის პარლამენტში

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ

ᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ დღე საზეიმო დღეᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ფრონტზე, დღეᲡᲐᲛᲔᲢᲘ ᲮᲣᲗᲘ წელი რ. ს. ფ. ს. ᲡᲠ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲠᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ.

ᲛᲐᲒᲐᲠᲐᲛ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ

დამ წუთს მზათა ვართ იარაღით ხელში დავიცვათ, ჩვენი მოძმეთა სისხლით შედღებილი წითელი დროშა და საბჭოები.

გაუმარჯოს მთლიან პროლეტარულ ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს 3 ე კომინტერნს, რომელიც არის წინამძღოლი მუშათა კლასისა.

გაუმარჯოს კომუნიზმს.

1. იაგორ წამალაშვილი წევრი 1918 წ. 2. ვანო ლუარსაბის ძე წამალაშვილი 1902 წ. 3. არჯევან იაკობის ძე ხუხუტაშვილი 1917 წ. 4. კაკო გრიქუროვი ადმინისტრატორი მენშევიკების დროს უპარტიო. 5. ივანე ამურველაშვილი 1917 წ. 6. ალექსი ზაქარიას ძე ნონიაძე 1917 წ. 7. სოსიკო ზაქროს ძე პეტრიაშვილი 1918 8. დავით ქიტესას ძე ადუაშვილი 1917 წ. 9. გიორგი არსენის ძე მელიქაშვილი 1919 წ. 10. გეურგა ომანოვი 1919 წ. 11. ალექსა გიორგის ძე დალაქიშვილი 1918 წ. 12. ალექსი გიორგის ძე კალანდაძე 1920 წ. 13. გაბო არტემის ძე პირაშვილი 1917 წ. 14. პავლე გაპრიადაშვილი 1917 წ. 15. ზაქარა გლახის ძე ტედოაშვილი 1920 წ. 16. კოტე პენტრაშვილი 1920 წ. 17. სიმონ პენტრაშვილი 1920 წ. 18. თედო ტეხიშვილი 1919 წ. 19. სიკო არსენის ძე დარჩიაშვილი 1920 წ. 20. ალექსი ახუხაშვილი 1917 წ. 21. ივანე შიხნაშვილი 1919 წ. 22. გიორგი თედორაშვილი თანამგრძნობი. 23. ივანე შიხლაშვილი 1919 წ. 24. ტიგრან დალაქიშვილი თანამგრძნობი. 35, ალექსი ჯორჯიაშვილი 1918 წ. 26. ვასო იმედაშვილი 1919 წ. 27. გაბო აგრიზაშვილი 1919 წ. 28. ივანე ბაქრაძე 1919 წ. 29. დათიკო იმედაშვილი 1919 წ. 30. შაქრო სეხნიაშვილი 1919 წ. 31. გიორგი დამათაშვილი 1919 წ. 32. ალექსი ოგანეზოვი 1905 წ. 33. არშაკა მურადაშვილი 1920 წ. 34. ავეტიკა ედაშვილი 1918 წ. 35. არშაკ ოგანეზოვი 1918 წ. 36. ვლადიმერი ზაქარიაშვილი თანამგრძნობი.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი. 1917 წლიდან ვითვლებოდი მენშევიკური პარტიის წევრად; 1920 წელს პარტიიდან გამოვედი და ეხლა არც ერთ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პარტიისა თუ პოლიტიკურ ჯგუფის წევრად აღარ ვითვლები.

ჩემს მოვალეობათ ვთვლი მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

ალექსანდრე ჯაიჩიძე.

ნავთლული.

ყოფილ მენშევიკურ ჯარის ოფიცრების წერილები

(გამოხმაურება თუხარელის წერილზე).

1.

თუხარელის, ყოფილ მენშევიკური ჯარის ოფიცრის წერილის გამო, რომელიც მოთავსებულია თითქმის ყველა ჩვენს გაზეთებში,—მე, როგორც სახელმწიფო კონტროლის სამხედრო განყოფილების ყოფილი გამგე, და, მაშასადამე, ახლოს გაცნობილი არმიის და სახალხო გვარდიის სამეურნეო ცხოვრებასთან, ვაცხადებ, რომ თუხარელის მიერ მოყვანილი ცნობა სახალხო გვარდიისა და არმიისადმი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ, სრულიად არ არის გაზვიადებული და სავსებით შეეფერება სინამდვილეს.

ამ წერილით მე მინდოდა გადამეშალა მკითხველის წინაშე კიდევ ახალი სურათი იმ ბოროტმოქმედებათა და მტაცებლობათა, რომელსაც სჩადიოდენ არმიის თანამდებობის პირნი და რომელიც არა ერთხელ ყოფილა აღმოჩენილი სახელმწიფო კონტროლის რევიზიების მიერ და სურათი უმაღლეს თანამდებობის პირთა მხრივ სრული დაუდევრობისა და უყურადღებობისა კონტროლის მოთხოვნილებათა დანიშვნებისადმი, რომელიც ეხებოდა სახალხო ქონების გაფლანგვის მიზეზების თავიდან აშორებას.

სამწუხაროთ, მე დღეს არ შემიძლია მოვიგონო კონკრეტული ცნობები ამ დარგში. მაგრამ მე ძალიან კარგათ მახსოვს, რომ სახელმწიფო კონტროლი ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის რევიზიის შემდეგ გამოყვანილ დასკვნებში ვრცლად აღნიშნავდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვას, მთელ რიგ თანამდებობის პირთა ყოფილ მეფის გენერლების და პოლკოვნიკების დაუდევრობას სამსახურისადმი და რომ კონტროლი უთითებდა კონკრეტიულ ღონისძიებებზე სამხედრო-სამეურნეო ცხოვრების ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

მიუხედავთ ამისა, მტაცებლობამ და ბოროტ-მოქმედებამ არმიაში მიიღო თითქმის მასიური ხასიათი. ამის მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სახელმწიფო კონტროლის თითქმის ყველა დასკვნები უყურადღებოთ რჩებოდა, დანაშავე თანამდებობის პირნი დაუსჯელად რჩებოდენ თავიანთ ადგილებზე, განაგრძობდენ „სამსახურს“ იმავე მიმართულებით და კიდევ მეტის ენერგიით ფლანგავდენ არმიის და ხალხის ქონებას. ბოროტმოქმედებათა ფაქტებისადმი უმაღლესი მთავრობის ასეთი მოპყრობით გამოწვეულმა დამნაშავეთა დაუსჯელობამ მიიღო სისტემატიური ხასიათი.

სახალხო გვარდია სახელმწიფო კონტროლის მიმართ ცოტა სხვა გვარად იქცეოდა. დოკუმენტალურ, ყველასათვის სავალდებულო კონტროლს (როგორც წინასწარს, ისე შემდგომს) ის სრულიად არ სცნობდა. ის ძალაუნებურად აგზავნიდა წინასწარ რევიზიაში მხოლოდ ასაგნობებს, რომელსაც კონტროლი ასვამდა მხოლოდ ბეჭედს და არავითარ რევიზიას კი არ უკეთებდა.

ფაქტიური რევიზიის დარგში საქმე ცოტა უფრო უკეთესად მიდიოდა, მაგრამ საკითხა ავონიშნოთ, რომ აქაც კონტროლის წარმომადგენლებს უწევდენ წინააღმდეგობას ან სრულიად არ უშვებდენ რევიზიაზე, ან დაუშვებდენ კონტროლის ხანგრძლივი საყვედურების შემდეგ.

რევიზიის შედეგები აგრეთვე ვრცლად ეგზავნებოდა სახალხო გვარდიის შტაბს კონკრეტული დასკვნებით შემჩნეულ დეფექტების და ბოროტ-მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად,—მაგრამ შტაბი, არა თუ არ ასრულებდა კონტროლის რჩევას, არამედ ერთხელაც არ აღირსებდა კონტროლს პასუხს უკანასკნელის მიმართვაზე ამ დარგში.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ასეთი მოპყრობა ხაზინის და არმიის ინტერესებისადმი ბუნებრივად გამოიწვევდა უკანასკნელის დაშლას აძლევდა რა საშუალებას უპასუხისმგებლო პირებს გაესქელებიათ ჯიბეები ხალხის ხარჯზე.

თუ შევადარებთ წითელი არმიის სამეურნეო აპარატს მენშევიკურ არმიასთან, ერთბაშად თვალში გეცემა დიამეტრალურად საწინააღმდეგო სურათი. მართალია 1921 წელს ადგილი ქონდა ზოგიერთ დეფექტებს, მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ეს ხდებოდა ინერციით, როგორც მემკვიდრეობა ძველი არმიისა: 1921 წელს ჩვენ არმიაში იყვენ ბევრი არასასურველი ელემენტები, რომელნიც მიქანიკურად გადმოვიდენ მენშევიკურ არმიიდან და არ გატარებულან სათანადო გაწმენდაში. ამ უკანასკნელების წყალობით 1921 წელში, სამეუნაოროთ ჩვენ წითელ არმიაში ჰქონდა ადგილი გაფლანგვას და ბოროტ-მოქმედებას.

მაგრამ მთელი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ არმიის მეთაურები, იღებდენ რა მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან ცნობებს მის მიერ ამა თუ იმ სამხედრო ნაწილში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედება შესახებ, მაშინვე ღებულობდენ სათანადო ზომებს ასეთის თავიდან ასაცილებლად, ფართოთ აქვეყნებდენ რა თავიანთ ბრძანებებში რევიზიის შედეგებს. ამის გამო ბოროტ-მოქმედებათა და გაფლანგვა თითქმის მოისპო, ადმინისტრატიული-სამეურნეო აპარატი გატარდა სათანადო გაწმენდაში, პასუხსაგებ ადგილებზე დაინიშნენ უსაფუთო სინდისიერი პირები, რომელთაც ესმოდათ თავიანთი საქმე. ასეთ სისტემას კი თავის მხრივ, შეეძლო განემტკიცებია წითელი არმია,—რასაც სინამდვილეში ვხედავთ დღეს.

გ. კანდელაკი.

2.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წელში მე მეჭირა მენშევიკურ არმიაში სამხედრო-სამეურნეო თანამდებობა, ვმუშაობდი შეუსვენებლად. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მენშევიკურ პარტია უნდობლად უცქეროდა აფიცრობას და რეგულიარულ ჯარს, და ეყრდნობოდა მხოლოდ გვარდიაზე.

ქართველი აფიცრობა შეურაცყოფილი იყო და მას, რა თქმა უნდა, არ აქვს საფუძველი კმაყოფილი იყოს ყოფილ მენშევიკურ მთავრობით და მისი პარტიით.

ადგილობრივ პრესაში ამას წინად წავიკითხე თუხარელის წერილი, რომელიც დაახლოვებითი განმარტებას აძლევს ამ მოვლენას.

სამართლიანად მომაჩნია მისი უკმაყოფილება და უარყოფითი დამოკიდებულება ავანტიურიზმის იმ გზისადმი, რომელსაც დაადგენ ზოგიერთი პირები ყოფილ აფიცრობიდან. ჩვენ უნდა ვიყოთ საბჭოთა რესპუბლიკის გულწრფელი და ლოიალური მოქალაქენი და სასტიკი მოწინააღმდეგენი ყოველგვარ ანტი საბჭოთა ორგანიზაციებისა, რომელნიც არიან დამდუმველი ხალხისათვის.

გადავდიავარ რა საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაზე, მე ვაცხადებ, რომ ვხედავ რა მის მუშაობას, რომელიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობისაკენ ‹ მისი ცოცხალი ძალების გამოღვიძებისაკენ, ჩემს ხნერბრივ მოვალეობად მიმაჩნია სინდისიერად და გულმოდგინეთ ვიმუშაო მის სასარგებლოთ.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორი:

ვ. ზ ყიფშიძე.

3.

გავეცანი რა გიორგი თუხარელის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის“ 7 ივლისის ნომერში და ვიზიარებ რა მის მიერ წამოყენებულ დებულებებს, მე, როგორც მენშევიკურ არმიის ყოფილი აფიცერი, ხელს ვაწერ ამხ. თუხარელის წერილს. ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ მხოლოდ საბჭოთა ძალაუფლების პირობებში შეიძლებოდა შექმნილიყო სამაგალითო და კულტურული არმია საქართველოში.

გამოვსთქვამ იმედს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენგან ჩამოშორებულნი გამოგვყვებიან ჩვენ და ხელი-ხელ ჩაკიდებული დავამარცხებთ ბურჟუაზიას ისე, როგორც ვამარცხებდით მტერს ბრძოლის ველზე.

ყოფილი აფიცერი **მიხ. გაწერელია.**

4.

გავეცანი რა ამხ. თუხარელის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტში“, მე, როგორც მენშევიკურ პარტიის ყოფილი აფიცერი, სავსებით ვიზიარებ მის მიერ მოყვანილ დებულებას და მოუწოდებ ყველა ამხანაგებს, თუ კიდევ ვინმეს აქვს კავშირი ანტიკომუნისტურ ორგანოებთან, ჩამოშორდნენ მათ და ხელი შეუწყონ წითელ არმიის გაფურჩქვნას მოპოვებულ რევოლიუციის დასაცავად.

ყოფილი აფიცერი **ი. უშვერიძე.**

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. და სპარსეთი

თეირანი. 19 ივლისი. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელის ამხ. შუბიაკის მიერ რწმუნების სიგელის ჩაბარების გამო, წარმომადგენლობის ბინაზე შესდგა სპარსეთის მთავრობის წევრების, დიპლომატიური კორპუსის, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა და რუსული ახალშენის წარმომადგენელთა მიღება.

ს. ს. რ. კ. საკონსულო ბენდერ-ბუშირში.

თეირანი. 19 ივლისი. ს. ს. რ. კ. საკონსულოზე დროშის აწევის დროს ბენდერ-ბუშირში (ნავთსადგურია სამხრეთ სპარსეთში, სპარსეთის ყურეში) დაესწრო 600 დე სტუმარი. კონსულის სიტყვას შეხვდნენ საბჭოთა ს. ს. რ. კ. საპატივცემოთ მქუხარე ტაშით.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გარშემო

სიმართლე ირკვევა.

პარიზი. 20 ივლისი. მეფის წოილი ჯარის მდივანი პოლუნინი გამოტეხილა, რომ რევოლვერი მან მისცა კონრადს ვოროვსკის მოსაკლავად. კონრადის რომ არ მოეკლა ვოროვსკი, მაშინ მე თვითონ მოვკლავდიო. ეს საქმე გაიჩრევა ლოზანაში მომავალ სეკტემბერს.

შავგრაზმელები მკვლელს იცავენ.

პარიზი. რუსეთის თეთრგვარდიელთა კოლონიის კომიტეტმა ბელგრადში გამოსცა მოწოდება, რომელშიაც მიჰმართავს შვეიცარიის სასამართლოს და მოუწოდებს გაამართლოს კონრადი, რომელიც, კომიტეტის აზრით, სწორად მოიქცა, როცა მოკლა ვოროვსკი.

ახალგაზრდოგის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

პროპაგანდის საკითხი.

მოსკოვი, 19 ივლისი. ახალგაზდრდობის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მოხსენება ბერეზინი ახალგაზრდობის შორის პროპაგანდის შესახებ. მოხსენებების აზრით აუცილებელია სასოფლო-მეურნეობის და მუშური ახალგაზრდობა განთავისუფლებული იქნას ე. წ. „კულაკების“ გავლენისაგან. ამ ახალგაზდობის მორიგი ეკონომიური მოთხოვნილებანი უნდა იყოს: 6 საათის სამუშაო დღე ახალგაზდებისათვის 16 წლამდე, ბავშვების მუშაობის გაუქმება, ორმაგი სამუშაო ხელფასი ზედმეტი ნამუშავარზე ზაფხულობით.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 19 ივლისი. თემთა პალატაში მკაცრი კრიტიკა გამოიწვია ბიდმა, რომელიც განსაზღვრავს ყოფილ მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ქვეშევრდომების შემოხვლას ინგლისში. ლანსდენერიმ განაცხადა, რომ ბილი ისახავს პოლიტიკურ მიზნებს: თეთგვარდიელები და ფაშისტები თავიანთულად შემოდიან სახელმწიფოში, კომუნისტებს კი ატუხადებენ და ახახლებენ.

კირკვუდმა დაიწყო თავის სიტყვა განცხადებით, რომ ის, იმყოფება რა პალატაში კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ, არ გაუწევს ანგარიშს პალატის რეგლამენტს. „პალატის მომხრენი,—განაცხადა მან,—ფიქრობენ, რომ ისინი წარმომადგენელნი არიან უმაღლესი რასის, ნამდვილათ კი არიან მკვლელები. ზოგიერთ პალატის წევრებს წარმოდგენილი აქვთ თავიანთი თავი კეთილშობილ ლორდებათ, ნამდვილათ კი ისინი გაიძვერა ლორდებია“

ლოზანას კონფერენცია

საზავო ხელშეკრულების ტექსტი მიღებულია.

ბერლინი. 19 ივლისი. ლოზანის კონფერენციის პლენუმის გუშინდელ სხდომაზე მიღებულ იქნა საზავო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება 24 ივლისს. საბჭოთა მთავრობას გაეგზავნა მოწვევა ხელისმოსაწერათ კონვენციაზე სრუტეების შესახებ.

კერზონი ლოზანაში არ გაეგზავნება.

ლონდონი. 18 ივლისი. ქვეყნის შინაურ მდგომარეობის სირთულის გამო, შესაძლებელია, რომ კერზონი არ გაეგზავროს ლოზანაში საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერათ. ხელშეკრულებას, ალბათ, ხელს მოაწერს ინგლისის დელეგაციის მეთაური რუმბოლდი.

ევაკუაციისათვის ემზადებიან.

ლონდონი. 18 ივლისი. მოკავშირე სახელმწიფოთა კომისრები თავისი ჯარების ევაკუაციისათვის ემზადებიან.

საუბარი გენერალ პელლთან.

პარიზი. 20 ივლისი. ლოზანაში გენერალმა პელლმა (საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე) გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში დამყარებული მშვიდობიანობა დიდი მნიშვნელობის მოვლენა არისო. ოსმალეთმა, რომელმაც თავი გამოიჩინა ომში, ეხლა თავი უნდა ისახელოს მშვიდობიანობის დამყარებაშიაც, როდესაც განათლებულ ერების წრეში შედის, როგორც მათი თანასწორი ერი, საფრანგეთა ნდობით ეკიდება ოსმალეთს და ხელს უწყობს სესხით.

საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დღე.

რომი. 20 ივლისი. ლოზანას კონფერენციის პლენუმის ხსდომამ დაამტკიცა შეთანხმება, რომელიც მოხდა მოკავშირეებსა და ოსმალეს შორის და საზავო ხელშეკრულების დღეთ დანიშნა 24 ივლისი. იაპონია ხელს არ მოაწერს ოქმს კონცესიების შესახებ.

ბერლინი. 20 ივლისი. ლოზანას კონფერენციის იაპონიის დელეგატმა განაცხადა, რომ იაპონია ხელს არ მოაწერს ოქმს კონცესიების შესახებ ოსმალეთში, რადგან ის „ოსმალეთში ღია კარების პოლიტიკის მომხრეა.

რუმინიისა და სერბიის დელეგაციების განსაკუთრებული აზრი.

ბერლინი. 20 ივლისი. ლოზანის კონფერენციის რუმინიისა ად სერბიის დელეგაციები განსაკუთრებული აზრისანი დარჩენ საზავო ხელშეკრულების პროექტის ზოგიერთი პუნქტების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში

აჯანყება მესოპოტამიაში.

თეირანი, 19 ივლისი. მესოპოტამიიდან მოსულ ცნობებით, იქ დაიწყო მასიური გამოხვლები ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისის ჰაეროპლანები აუმბარებენ ტალოლეა საბჭოთა ფედერაციის ბაზრისაკენ იმდენად ძლიერია, რომ ვერავითარი პროვოკაციული მუშაობა რუსეთის მტრებისა ვერ ჩაშლის ხელშეკრულების დადების საქმეს

სპარსეთის ყველა ვაჭრები მოუთმენლად ელიან ხელშეკრულების ხელის მოწერას. ამ მიზნით ჩრდილოეთ სპარსეთიდან შახს, მეჯლისს, და კაბინეტს გაეგზავნა მრავალი პეტიციები **ხელშეკრულების საჩქაროთ დადების შესახებ.** სპარსეთის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც არ მოსდიოდა რუსეთის საქონელი, ერთბაშად გამოცოცხლდა იმ იმედით, რომ ჩქარა მოხდება სპარსეთის ეკონომიური აღორძინება ს. ს. რ. კ. სავაჭრო ურთიერთობის განახლების გამო. ამ გამოცოცხლების ნიშნები უკვე გვაქვს, გილინის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბაქოს ბაზრობამ. სპარსეთის ბაზარზე ჩვენი საქონლის გატანის დღიდანვე ფასები ერთბაშათ დაეცა, მიუხედავათ ინგლისელების მეცადინეობისა, დაერწმუნებიათ სპარსეთის მცხოვრებნი იმაში, რომ ეს ფაბრიკატები რუსეთში კი არ მზადდება, არამედ გერმანიაშია, სპარსეთის ვაჭრები ძალიან უკმაყოფილონი არიან ბაქოს ბაზრობის ადრე დახურვით, რადგან აქ კიდევ იგზავნებოდა სპარსეთის ნედლი მასალის დიდი პარტიები. **ეხლა კი სპარსეთის ვაჭრები აგზავნიან თავიანთ საქონელს ნიუგეორდის ბაზრობაზე.**

პოლიტიკური მდგომარეობა ჩრდილოეთ სპარსეთში.

შეეხო რა ჩრდილოეთ სპარსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, ამხ. აპრესო

ᲨᲠᲝ

ეროვნებათა და ხალხთა წარმომადგენელნი.

ეროვნული ყოფა-ცხოვრების და ეკონომიერების გამოფენაზე გამოაშკავების მიზნით, მთავარ საგამომფენო კომიტეტი აცხადებს:

1) სხვადასხვა კუთხეებიდან გამგზავრებული ექსკურსანტები და წარმომადგენელნი ჩაცმული უნდა იქნენ ეროვნულ ტანსაცმელში.

2) შეძლების და გვარად ექსკურსანტებისა მოწყობილ უნდა იქნეს ომიერალთა გუნდები, ორკესტრები, ეროვნული საკრავები, დრამატიული

ᲛᲔᲪᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

სომხეთი

უმუშევართა არტელები.

ერევანი. 19 ივლისი. სიმშილობის მედეგებთან ბრძოლის კომიტეტი ასთანხმდა გაუწოის დახმარება მუშევართა არტელებს, რომელიც მოწყო შრომის ბირჟის ხელმძღვანელობით.

ერევნის უნივერსიტეტი.

ერევანი. 19 ივლისი. ერევნის უნივერსიტეტში ხუთ ფაკულტეტებზე მიღება დაიწყება 15 აგვისტოს.

შირაქის გვირაბი.

ალექსანდროპოლი. 19 ივლისი. შირაქის გვირაბი გაყვანილია 482 საჟენის მანძილზე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ.

ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲗᲐ Ა. Ვ. ᲚᲐᲜᲩᲐᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲜ.

1. წინასწარი გასინჯვის მიზნით, მოვლინებული ამხანაგები გატარებული უნდა იქნენ ადგილებზე სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათან არსებულ საგუბერნიო გამინჯვე კომისიებში, საგუბერნიო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენელისა, საგუბერნიო პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს გამგისა და საგუბერნიო პარტიულ სკოლის გამგის შემადგენლობით.

2. თავის მუშაობაში გამსინჯავი კომისიები ხელმძღვანელობენ მიღების პირობებით; მოვლინებული უნდა იქნენ ამხანაგები:

ა) მხოლოდ მუშები და გლეხები, რომელთაც აქვთ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ პრაქტიკულ მუშაობის სტაჟი, და აგრეედვე საწარმოო სტაჟი და ისეთები, რომელმაც ნიჭი გამოიჩინეს თეორიულ შეცადინეობაში.

ბ) განსაკუთრებით პარტიული ამხანაგები არა ნაკლებ 20 წლისა, რომელთაც თავი გამოიჩინეს კომუნისტისადმი ერთგულებით და პარტიული სტაჟი აქვთ არა ნაკლებ 3 წლისა (რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის სტაჟით შეუცვლელათ).

3. ისეთები, რომელთაც აქვთ პოლიტიკური მომზადება 2 საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურსის ფარგლებში ან და აქვთ ცოდნა შემდეგ მაზრაში სამეფოთ ტფილისის ტექნიკურ სკოლის კურსის ფარგლებში: ბოგდანოვი—„ეკონომიური მეცნიერების საკლე კურსი“, ბოგდანოვი შეიძლება მეცვლილ იქნეს ტიუშენევით—„შროლის ისტორია“, პოკროვსკი—„ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, ბატურინი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა“, ბუბნოვი—„რუსეთის კომუნისტურ პარტიის განვითარების ძირითადი მომენტები“, ზნოვიევი—„რუსეთის კომუნისტურ პარტიის ისტორია“, ლენინი—„სახელმწიფო და რევოლუცია“, სტუჩკა—„რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია“.

გ) ამასთანავე წერა-კითხვის კარგათ მცოდნენი, ვისაც შეუძლია ჩქარა კითხვა, თავის აზრების წერილობით გადმოცემა და არითმეტიკული მოქმედებების წარმოება მთლიან რიცხვებზე და ნაწილადებზე და ისინი, ვინც იცნობს ფიზიკურ გეოგრაფიის დასაწყისს.

დ) 2 საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურს დამთავრებულნი შეიძლება გაგზავნილ იქნან კომუნისტურ უნივერსიტეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათავების შემდეგ არის გასული დრო და მას აქვს პრაქტიკულ მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა.

ე) გადამდები სენით ავადმყოფნი (მათ შორის ვენერიულითაც) და ისეთები, ვინც ჯერ კიდევ არ გამოკეთებულან მძიმე ავადმყოფობისაგან—კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღებული არ იქნებიან.

ზ) საშუალო განათლების მქონე ამხანაგები უნივერსიტეტში მიღებული არ იქნებიან.

შენიშვნა: დასახიჩრება ხელის შემშლელი მიზეზი არ არის უნივერსიტეტში შესვლისათვის.

მუხლი ზ. ეხება მხოლოდ სვერდლოვის უნივერსიტეტს.

4. ორგანიზაციებს ევალებათ: ა) მიიღონ თავის თავზე მივლინებულის სამგზავრო ხარჯები; ბ) მიიღონ თავის თავზე ზრუნვა მივლინებულის ოჯახისათვის; ვ) გამოუცხადონ მივლინებულს, რომ უნივერსიტეტი იღებს სტუდენტს უოჯახოთ და არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს ოჯახის წინაშე მისი მოსკოვში ბინით, სურსათით და სამსახურით დაკმაყოფილების საქმეში.

ᲣᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲚᲘᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

(20 ივლისი).

ჩერვონცები	— —	16,600
გირ. სტერლინგ. ეფექტ.		16,100
ჩეკები	—	14,200
დოლარი ეფექტ.	— —	3,400
ჩეკები	—	3, 00
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—	2,400
იტალიის ლირა	—	120
ფრანგული ფრანკი ეფექტ.		180

„ᲐᲠᲙᲝᲡᲨᲘ“

მუშაობა არკოსში.

წლის პირველ მეოთხედში რუსეთიდან ინგლისში გატანილ იქნა დაახლოვებით 506,956 გირ. სტერ. ღირებული საქონელი. ამ საქონლის უმეტესობა 71 პროცენტზე მეტს, შეადგენს ბეწვეულობა, რომლის ღირებულება უდრის 362,889 გირ. სტერ.

მეორე ადგილი ღირებულების მიხედვით უჭირავს აზერბეიჯანის ნავთს—სულ 64674 გირ. სტერ. ღირებული. ამას გარდა გატანილ იქნა: ქერი—30548 გ. სტ ხე-ტყე—27975 გ. სტ. და სხვა. მოთხოვნილება რუსეთის სელზე დიდია. მაგრამ მისი მაღალ ფასებში გასაღებას და დაუბრკოლებლივ რეალიზაციას ხელს უშლის სელის ცუდათ განაწილება ხარისხების მიხედვით: ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლათ რუსეთში ამ ჟამად ეწყობა ბროკერის აპარატი, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ საზღვარ გარეთ იგზავნებოდეს ისეთი ხარისხის საქონელი, რომელზედაც არის მოთხოვნილება. ბეწვეულობის და ტყავეულობის რეალიზაციის პირობები იყო მეტათ ხელსაყრელი, მოთხოვნილება განუსაზღვრელი და ოპერაციები შესაძლებელი იყო ფართო ხასიათის, თუ დაცული იქნებოდა საქონლის სათანადო ხარისხებათ დანაწილება.

რაც შეეხება ჯაგრის ფასებს,—ის აღემატებოდა თითქმის 35-50 პროც. მშვიდობიანობის დროისას. დანარჩენ ნედლეულობაზე, რომელიც იგზავნება რუსეთიდან, გარკვეული მოთხოვნილება არის.

წლის პირველ მეოთხედში არკოსმა შეიძინა ინგლისში 339,766 გირ. სტერ. ღირებული საქონელი, გასულ წელს კი იმავე პერიოდში 1.105,445 გ. სტ. მიმდინარე წელში ოპერაციების საგრძნობლათ შემცირება აიხსნება იმით, რომ სურსათ-სანოვაგის, საფეიქრო საქონლის და თესლეულობის შეძენა შეწყვეტილი იყო. ინგლისში შეძენილ საქონელთა შორის აღსანიშნავია 17 წყლის მილებიანი ქვაბების დაკვეთა, 40790 გირ. სტ. ღირებული, ლითონების და მაღაროებისათვის საჭირო მანქანების და მოწყობილების შეძენა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ

1. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისება, დემოკრატიული დემოკრატიის საწინააღმდეგოთ, მდგომარეობს იმაში, რომ მშრომელთა მიერ არჩეული დეპუტატი არ შორდება თავის ამრჩევლებს, პერიოდულათ უდგენს მას თავის მუშაობის ანგარიშს და ამით ხელს უწყობს მჭიდრო კავშირის განმტკიცებას ხელისუფლების პროლეტარულ ორგანოებსა და მუშებისა და გლეხების ფართო მასებს შორის.

2. ტფილისის მესამე მოწვევის საბჭოს მუშაობა მისი აღმასრულებელი კომიტეტის სახით დაიწყო პირველ ყოვლისა ქალაქისა და სამაზრო აპარატების გაერთიანების გატარებით, რომელნიც წინეთ ცალ-ცალკე არსებობდენ. ამითი განხორციელებულ იქნა ქალაქის სოფელთან უფრო მჭიდროთ დაახლოვება როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის მხრივ და, ამას გარდა, შესაძლებელი გახდა შტატების 25 პროცენტით შემცირება და აპარატის გამარტივება და გაერთიანება.

ამას გარდა ამ გაერთიანების საშუალებით შესაძლებელი გახდა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება სოფლად მაზრაში სამეფოთ ტფილისის მთელ რიგ მუშების გაგზავნის გზით და ამით განხორციელებულ იქნა მეშისა და გლეხის უფრო მჭიდროთ დაკავშირება.

მაზრაში გატარებულ მუშაობიდან საჭიროა აღინიშნოს საადგილ-მამულო რეფორმის გატარება, რომელიც დამთავრდა მემამულეებისათვის 6.250 დეს. მიწის ჩამორთმევით.

11 რაიონიდან 9 რაიონში შესაძლებელი გახდა საბეითლო პუნქტების გახსნა.

3. ტფილისის აღმასკომის მუშაობა ქალაქში განიყოფება რამდენიმე დარგათ: ქალაქის მეურნეობა (ტრამვაი, სასაკლაოები, ელექტრონის სადგურები); ქალაქის გამშვენიერება; კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა; ჯანმრთელობის დაცვა; საბინაო პოლიტიკა.

4. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი გახდა ქალაქის მეურნეობის შემდეგი გაჯანსაღება.

ტრამვაი: გადიდებულია ვაგონების რიცხვი ხაზებზე, მოღებულია და მოსალოდნელია კიდევ ახლო მომავალში გერმანიიდან ახალი ნაწილების მიღება, გაყვანილია ორი ახალი შტო; საერთოდ ტრამვაი მუშაობს ეხლა უდეფიციტოთ (კაპიტალურ რემონტისა და ამორტიზაციის ჩაუთვლელათ). წინანდელ მდგომარეობაშია წყალსადენი; სწარმოებს მხოლოდ რემონტი, რომელიც ხელს უწყობს წყლის შეუმცირებლათ მიწოდებას. წყლის მიწოდების რადიკალურათ გაუმჯობესებისათვის საჭიროა ახალი წყალსადენის აშენება, რისი განხორციელებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ქალაქის ყველა წარმოებების, როგორც: აბანოების, ელექტრონის სადგურების სამმართველოსი, სასაკლაოების და სხვათა ბალანსი გასული ნახევარი წლის განმავლობაში გამოყვანილია უდეფიციტოთ, რაც აიხსნება საქმის უფრო სამეურნეო წესით გაძღოლით.

ნორმალურათ მიმდინარეობს ზემოავალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენება, მოსკოვიდან 750.000 ოქროს მანეთის სესხის თავის დროზე მიღების გამო.

5. ქალაქის გამშვენიერების სფეროში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი გახდა მთელ რიგ ლონისძიებათა დაწყება ქალაქის განაპირა უბნების წესრიგში მოსაყვანათ. დაწყებულია ნაძალადევის და გეგმა, გაცემულია საშუალებები მთაზე ტყის გაშენებისათვის აუცილებელ სამუშაობების საწარმოებლათ, რითაც სადგურის გადაღმა რაიონი დაცულია წყალდიდობისაგან. დაწყებულია განაპირა უბნების ქუჩების რემონტი (საჭიროა 22.000 კვ. საჟ. ხელახლა მოკირწყვლა), რემონტი გაუკეთდა ხიდებს, დაწყებულია მუშათა კლუბის აშენება ქვემო ავლაბარში და სხვა.

6. მუშების სანთნაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელებულია ჯეთელ რიგ სახლების დამატებითი მუნიციპალიზაცია (200-დე დიდი სახლები), რომელნიც მოწყობილნი იქნებიან მუშათა სახლებათ. ამ ჟამათ კანონპროექტი დამატებითი მუნიციპალიზაციის შესახებ გადაცემულია განსახილველათ სახალხო კომისარიატთა საბჭოში; ის სახლები, რომელნიც აღებულნი უნდა იქნენ, უკვე გასინჯული არიან და ახლო მომავალში შესაძლებელი იქნენ დასახულ ღონისძიების განხორციელება.

ცენტროშენს („ცენტროსტროის“) მიეცა სესხი მუშათა უბნების ასაშენებლათ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ეხლა ქალაქის მეურნეობის მოგვარებასთან და საგადასახადო აპარატის აღრიცხვის უფრო სწორ ნიადაგზე დაყენებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია კომუნალურ მეურნეობის საგნებზე **შედავათიან ტარიფების დაწესება** მუშათა და მოსამსახურეებისათვის. ამ ჟამად ეს საკითხი დამუშავების სტადიაში იმყოფება და ახლო მომავალში გატარებული იქნება ცხოვრებაში.

7. სახალხო განათლების სფეროში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დიდი მუშაობა იყო შესრულებული.

ზაფხულისათვის შესაძლებელი გახდა აგარაკების საკმაო რიცხვის შეკეთება ბავშვების საბავშო სახლებიდან კოჯორში გადასაყვანათ. გაუმჯობესებულ იქნა ბავშვთა კვება, მიუხედავათ სახელმწიფო მომარაგებიდან მოხსნისა.

გასინჯულ იქნა მთელი სასკოლო ქსელი როგორც ორგანიზაციულის, ისე პედაგოგიურის მხრივ.

შემცირებულია 20 პროცენტით შრომის სკოლების რიცხვი—(104-დან 82 სკოლამდი) მოწფეთა რიცხვის მხოლოდ 5 პროცენტის შემცირებით და ამით შემცირებულ იქნა ზედნართი ხარჯი.

იგივე მოხდა საბავშო სახლების მიმართაც (სახლები შემცირებულია 45 პროცენტით, ბავშვების რიცხვი იგივე დარჩა). ამ ჟამად დაწყებულია საბავშო სახლებისა და შრომის სკოლების რემონტი. რემონტი დამთავრებული იქნება მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის.

ამასთანავე შესაძლებელი გახდა პროფკავშირთა წევრების ბავშვების პროცენტის შესამჩნევად გადიდება შრომის სკოლებში, 1922 წლის დასაწყისისთვის პროფკავშირთა წევრების ბავშვები შეადგენდენ 44 პროცენტს, ეხლა კი—69,6 პროც.

8. მშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მინდობილი აქვს საავადმყოფო კასას. მიუხედავათ ამისა აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ყველა ზომებს ღებულობს, რომ დაუახლოვოს, როდესაც ეს საჭიროა, თავისი დაწესებულებები ქალაქის მუშათა ნაწილს. დაწყებულია ამბ. კამოს სახლეობის საავადმყოფოს გაფართოება, რომელიც უმთავრესად 1-ლ რაიონის მუშა-მოსახლეობას ემსახურება. ყოფ. არამიანცის საავადმყოფოსთან ერთად ბულევარსთან საჭიროა ახალი წყალსადენის აშენება, რისი განხორციელებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

9. ქალაქის ფინანსების სრულად განხილვის დროს შეიძლება აღინიშნულ იქნეს მათი შესამჩნევი გაუმჯობესება წარსულ წელთან შედარებით.

ოქროს მანეთში გამოანგარიშებული 1923 წლის შემოსავალი 44-ჯრ.-ით გაიზარდა 1922 წ. იმავე თვესთან შედარებით (761.479 მანეთიდან 1.032.022 მანეთამდი). იმავე დროს ჩვეულებრივი ხარჯები გაცილებით ნაკლებ გაიზარდა, სულ 7 პროცენტით (569.928 მანეთიდან 609.055 მანეთამდე).

ჩვეულებრივი შემოსავალი შარშან მეტი იყო ხარჯებზე 28 პროცენტით, მიმდინარე წელში კი—69 პროც. ამ რიგად ქალაქის ფინანსები შესამჩნევად გაუმჯობესდნენ. ეს გაუმჯობესება აიხსნება უმთავრესად აღმასკომის საგადასახადო პოლიტიკის გაჯანსაღებით, რადგან ქალაქის წარმოებები წელს შედარებით ნაკლებს იძლეოდნენ, ვიდრე შარშან, მაზრის და ვალოლიტის განუწყვეტელ რყევის გამო. მიუხედავათ ამისა ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა არ შეიძლება საუცხოოთ ჩავთვალოთ, რადგან ქალაქს მხოლოდ მცირე მასშტაბით შეუძლია აღადგინოს შესამჩნევათ დანგრეული კომუნალური წარმოებები. ქალაქის ყველა წარმოებების სრულიად აღსადგენად და მოწყობილების დასამთავრებლად (ახალი წყალსადენისა, ელექტრონის სადგურისა და სხვათა ასაშენებლათ, განაპირა უბნების გასაშენებლათ, ბულევარსა და სხვა) საჭიროა მილიონები ოქროს მანეთით.

10 უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობა ამტკიცებს, რომ ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეძლება ჰქონდა გაეგრძელებია მეზობელ ვიკების მიერ დანგრეულ ქალაქის მეურნეობის გაჯანსაღების ის საქმე, რომელიც მისმა წინამოგალეკებმა დაიწყეს. წინანდებულათ საბჭოს ყურადღების ცენტრში სდგანან მუშათა კლასის ინტერესები, წინანდებულად საბინაო სფეროშიც, სახალხო განათლებისა და კომუნალურ მეურნეობის საგნების სარგებლობისათვის გადადების სფეროშიაც ის ატარებს წმინდა კლასიურ პოლიტიკას.

როგორც ტფილისის ორივე მოწვევის საბჭოც, ის მხურვალეთ გამოეხმაურება ხოლმე ყოველ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხს.

მისი ხმა, გამოხატავს რა ის ტფილისის პროლეტარიატის აზრს, იმდენათ ავტორიტეტული და ძლიერია რომ მას ყურს უგდებენ მთელი საქართველოსა ᲦᲐ ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები.

და ტფილისის საბჭოს ამ ძალისა და ავტორიტეტის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ მის საფუძველათ, ხერხემლათ არის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის ხელმძღვანელი და საუკეთესო დამცველი.

ᲕᲠᲝᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

ᲛᲔᲚᲘᲗᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

დახმარება სოფ. დიდ ლილოს.

ვინაიდან ამ ჟამად სოფელ დიდ-ლილოში, რომელიც მდებარეობს ტფილისის მახლობლად, სამინდვრო მუშაობაა გაჩაღებული, მელითონეთა კავშირმა გადასწყვეტა სოფლის მცხოვრებს მიაწოდოს საჭირო სამეურნეო იარაღები, ასეთივე სამეურნეო დახმარება გაეწიოს სხვა სოფლებსაც.

ᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ჟურნალ გაზეთების მიწოდება სოფლებისთვის დღემდის რიგიანად ვერ იყო მოგვარებული; ზოგიერთი ადგილები სრულიად მოკლებულნი არიან გაზეთებს, ამ მიზნით მელითონეთა კავშირმა განიხილა მუდმივ გაუკეთოს ხელმძღვანელ-გაზეთები სოფლებსაც.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

მელითონეთა კავშირი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის ახალგაზრდათა გლეხების კავშირის დაარსებას, იმისთანა ორგანიზაციის შექმნას, სადაც ახალგაზრდა მუშა-გლეხს მიეცემა საშუალება გათვითცნობიერების გზაზე დაადგეს, კავშირმა ამ მიზნის განსახორციელებლად უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები.

საჭიროა სოფლის მცხოვრებლების ქალაქთან დაახლოვება.

დღეს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა განსაკუთრებით გლეხები, მოწყვეტილი არიან ქალაქთან და მის კულტურასთან, ამიტომ სოფლის მეურნეობა ისევ პირველყოფილ დროის მდგომარეობაშია. მელითონეთა კავშირმა ცხოვრების ამ მხარესაც მიაქცია ყურადღება. ზოგიერთ სოფლებში იმართება კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები ქალაქის და სოფლის ურთიერთობაზე და მათი ერთმანეთთან დაახლოვებისთვის. ეწყობა ორგანიზაციები, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებენ და ამ რიგად საშუალებას მისცემენ სოფლის პროლეტარიატს დაუახლოვდნენ ქალაქს და დაიქირონ მასთან მჭიდრო კავშირი.

მელითონეთა ყრილობა—მოსკოვში.

მელითონეთა კავშირმა გადასწყვიტა თავის წარმომადგენელი გაგზავნოს სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობაზე, რომელიც უახლოეს ხანში შეიკრება ქალაქ მოსკოვში.

ᲛᲔᲓᲘᲙᲝ-ᲡᲐᲜᲘᲢ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

რა კეთდება განათლების დარგში.

15 ივნისამდე ყველა სკოლები როგორც წერა-კითხვის უცოდინართა ისე პირველ საფეხურისა განაგრძობდნენ მუშაობას, ამ ჟამად მეცადინეობა სკოლებში ზაფხულის გამო შეწყვეტილია. პოლიტიკურ უცოდინარობის მოსასპობათ მუშაობენ პოლიტწერები. რაც შეეხება პროფ. ცოდნას და გათვითცნობიერებას პროფმოძრაობის გარშემო აქაც კავშირმა მიიღო გადამწყვეტი ზომები. ამ მიზნით დაარსებული იქნება წრეები ადგილკომებთან, რომელნიც უხელმძღვანელენენ პროფ. ცოდნის გავრცელებას ლექციათ-მოხსენების მოწყობით.

პროფტექნიკური განათლება.

პროფტექნიკურ განათლების დარგში დიდი ყურადღება ექცევა ფერშალთა და ფარმაცევტთა მომზადებას.

საკლუბო მუშაობა.

კავშირმა საკლუბო მუშაობისთვის გამოიმუშავა წესდება. კლუბში წევრებისთვის დროგამოშვებით ეწყობა კინო. ამას გარდა კარგად მუშაობს დრამატიული სექციაც. კულტგანყოფილებამ მიიღო სათანადო ზომები პროფკლუბის კლუბში თავის წევრების ჩასარიცხად.

ᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ.

ივნისის განმავლობაში კავშირმა ადგილობრივი გაზეთები გამოიწერა 1,100 ცალი, 40 ცალი შეიძინა ჟურნალი „პლამია“, გამოიწერა რამდენიმე ცალი იუმორისტიული ჟურნალი „ნიანგი“. ამას გარდა კავშირი უშვებს კედლის გაზეთებს და ფართე კამპანია ჩაატარა ჟურნალ „მედიკო-მუშაკის“ გამოსაწერად. ჟურნალ-გაზეთები საკმაო რიცხვით ვრცელდება პროვინციაშიც.

სოციალურ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა.

სოციალურ აღზრდის საქმეს, ბავშვთა განვითარებას და მოვლა-პატრონობას კავშირი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა. კოჯორის ბავშვთა ახალშენში ივნისში გაიგზავნა აგარაკზე 10 ბავშვი. ივლისში გაგზავნილი იქნება მეორე პარტია.

კავშირი ადგილებთან.

კავშირის ის რწმუნებულები და წარმომადგენლები, რომელიც ჩამოსულნი იყვნენ პროვინციიდან პროფკავშირთა მესამე ყრილობაზე დასასწრებლად კავშირმა ყველა მათგანი გააცნო წარსულ და მომავალ მუშაობის გეგმას. მისცა ახსნა განმარტებანი ყველა დარგში, რომ მაზრებმა კარგი კავშირი დაიჭირონ ცენტრთან და შეთანხმებით იმუშაონ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

Ა. Ძ. ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ.

— **ეგ. ნინოშვილის ნაწერების გამოსაცემათ.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ეგ. ნინოშვილის ნაწერების გამოსაცემად 2368 ჩერვონცების რაოდენობით.

— **სახოფლო-სამეურნეო აღწერა.** ა. კ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერის ხარჯთ-აღრიცხვა. აღწერა დაიწყება ამ დღეებში.

— **ზედმეტ მუშაობის ხელფასი.** ამავე კომისართა საბჭომ დაადგინა ზედ-მეტ მუშაობის ხელფასის რაოდენობა სახელმწიფო დაწესებულებებში განისაზღვროს 3-8 პროცენტის მომატებით.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲨᲘ

— **ფართლეულობის განაწილება ქალ. საავადმყოფოებს შორის.** ქალაქის აღმასკომმა საავადმყოფოების შორის განაწილა 10,000 არშინი მანუფაქტურა და 700 წყვილი თბილი საბანი.

— **მიკროსკოპიული სადგური.** თებერვლიდან დღემდე მიკროსკოპიულ სადგურში შემოწმებული იქნა სულ მსხვილი ოთხფეხი საქონელი 1429 სული, ღორი—9348, ცხვარი და თხა 1572, შაში—1478 ფუთ. და სხ.

— **თბილი საბნები ბავშვებს.** აღმასკომმა საბავშო სახლებისათვის გადასდო 30 წყვილი თბილი საბანი.

— **სასწრაფო დახმარება.** იანვრიდან მაისამდე სასწრაფო დახმარების ეტლი გაიწვიეს 421. ამავე ხნის განმავლობაში გადაყვანილი იქნა 487 ავადმყოფი.

— **მოწფეთა რიცხვი.** გასული სამოსწავლო წლის განმავლობაში ტფ. ყველა შრომის სასწავლებლებში და საბავშო სახლებში ირიცხებოდა სულ 25,856 მოწაფე.

— **გადასახადის რაოდენობა.** ტფ. ქალ. აღმასკომის სალარაში 1 ივნისში შემოვიდა გადასახადიდან სულ 26,817 მან. და 28 კ. ოქროთი.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ

— **სტიპენდიების დაარსება.** განათლების კომისარიატის საბჭოს დადგენილებით დაწესდა სტიპენდიები ტფილისის, ქუთაისის, გორის და ბოდბის პედაგოგიურ (მასწავლებელთა) ტეხნიკუმებში. სტიპენდიანტები კურს დამთავრების შემდეგ ვალდებულნი იქნებიან იმსახურონ იმ სასწავლებლებში, სადაც ამას საჭიროდ დაინახავს განათ. კომისარიატი.

— **ხელამოს ტეხნიკუმის გაუქმება.** ამავე საბჭოს დადგენილებით გაუქმდა მოზრდილთათვის არსებული ხელამოს ტეხნიკუმი. მოწაფეები გადაყვანილნი იქნებიან მუშათა ფაკულტეტების კურსებზე სპეციალობის მიხედვით.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲙᲐᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐ.

ჯერ კიდევ 1913 წ. ოზურგეთის მაზრის, ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებთა თაოსნობით და მათივე საშვალებით დ. ჩოხატაურში საფუძველი ჩაეყარა, ამ კუთხისთვის მეტათ საჭირო, საავადმყოფოს შენობას. იმდენათ საგრძნობი იყო ამ შემთხვევაში ხალხის ნებისყოფა, რომ საავადმყოფოს შენობის მოსრულების საქმე სრულიად უზრუნველყოფილათ იყო მიჩნეული.

მაგრამ დაიწყო მსოფლიო ომი და მრავალ სხვა აღმშენულობითი საქმესთან ერთად, ომმა ეს სამუშაოც შეაჩერა და ბედის ანაბრათ მიაგდო.

არა ნაკლები ოცდა ათი ათასი მანეთისა (ომამდე არსებული ფულის კურსის მიხედვით) აქვს ხალხს შენობისათვის გაღებული და რაც ამ ფულით გაკეთდა, დღეს ყველაფერს დანგრევა და განიავება მოელის.

საჭიროა მუშაობის განგრძობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყუილათ ჩაივლის, რაც ამ დრომდე ხალხის შრომითა და ოფლით გაკეთებულა.

ხალხიც ამას გრძნობს და როდესაც განვლილი ეპი-ვაგლახის შემდეგ, მას პირველათ ეძლევა საშვალება მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობისა, ის კვლავ მზად არის გაიღოს მაქსიმუმი თავის შესაძლებლობისა, რათა მოსრულდეს საავადმყოფოს შენობა. მუშაობა უკვე განახლებულია, მაგრამ მას არ ძალუძს მარტოთ თავის თავზე იღვას ესოდენ მძიმე ტვირთი; ამ შემთხვევაში ის ითხოვს ყველასაგან ძურ დახმარებას და დარწმუნებულიც არის—მისი თხოვნა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ამისათვის ჩოხატაურის თემის საბჭოს კრებამ ამა წლის 8 ივნისის სხდომაზე აირჩია საალმშენებლო კომიტეტი ისეთი შემადგენლობით, რომელიც მართლადაც რომ დაინტერესებულია ასეთი დიადი სახალხო საქმით და კიდევაც გაუწევს მას ყოველივე დახმარებას.

საალმშენებლო კომიტეტის წევრებათ არჩეულია: მიხა ცხაკაია (საპატიო წევრი), სერგო ორჯონიკიძე (საპატიო წევრი), საშა გეგეჭკორი (საპატიო წევრი), გრიგოლ მგალობლიშვილი, ანდრო დოლიძე, თენგიზ ქლენტი, სიმონ ქლენტი, სერგო მეგრელიშვილი, თეოფილე ჩიჩუა, პროკოფი მეგრელიშვილი, ტარასი მგალობლიშვილი, გაბრიელ ბერძენიშვილი, სევერიან კეკელიძე, გიორგი ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე: **თ. ჩიჩუა.**

თავმჯდომარის მოადგილე **ს. კეკელიძე.**

მდივანი **ლ. ღამბაშიძე.**

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადბეჭდონ ეს მოწოდება.

მდივანი **ლ. ღამბაშიძე.**

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ

ᲐᲓᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მთელი წინასწარი მუშაობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად დასრულებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ამას გარდა ცენტრში უკვე მიღებულია ცნობები მოსავლიანობის შესახებ სხვა და სხვა მაზრებსა და რაიონებში. ამ ცნობების მიხედვით უკვე შემუშავებულია ცალ-ცალკე მაზრებისათვის მოსავლიანობის ხარისხის დაწესების პროექტი, რომელიც ამ დღეებში იქნება დამტკიცებული და გამოქვეყნებული. ზოგიერთ მაზრიდან დამატებით მოთხოვნილია უკანასკნელი ცნობები მოსავლიანობისა და სტიქიურ უბედურებათა შესახებ, რომელიც ამ მაზრებს დაატყდა თავზე.

უკანასკნელ ხანს ცალკე მაზრების შესახებ შემდეგი ც

ჟუშათა ცხოვრება

კვირას, 22 ივლისს, გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორებისგან შემდგარი ექსკურსია დაათვალიერებს ბოტანიკურ ბაღს.

ექსკურსანტები თავს იყრიან გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე დილის რვა ნახევარ საათზე.

ჩვენი მუშების გამოგონება.

ტრამვაელმა მუშამ, ამხ. **სალაყაიამ** ტრამვაის ვაგონის მატორში მეტად დიდი გამაუმჯობესებელი ცვლილება შეიტანა.

1) მუშის მიერ გამოგონებულ სახე-ცვლილს მატორს წინანდელთან შედარებით ეს უპირატესობა აქვს:

საკისარებს, რომელთაც ამ ჟამად მოქმედი სისტემის მატორის მუშაობის დროს ყოველ 1—2 კვირაში გამოცვლა სჭირიათ, ამხ. სალაყაიას მიერ გაუმჯობესებულ მატორში შეუძლია ექვს თვეს გამოუცვლელად მუშაობა.

2) კბილანები, რომელთაც უცხოეთიდან იწერდნენ, ახალი მატორის ხმარების დროს აქვე შეიძლება დამზადდეს. 30 ტრამვაელი მუშა გაეცნო ახალ გამოგონებას და, შეაფასა რა მისი მნიშვნელობა, წერილობით თანხმობა განაცხადა თავის ხარჯით და თავისი შრომით გააკეთონ ახალი ვაგონი ამხ. სალაყაიას პროექტის მიხედვით ტრამვაის სამმართველოს დახმარების გარეშე.

ქალაქის კომუნალურ მეურნეობის მუშების კავშირმა აირჩია ტეხნიკური კომისია სპეციალისტებისგან გამოგონების გასასინჯად და შესამოწმებლად. კომისიაში შევიდნენ — თბილისში ცნობილი ელექტ. ტრამვაის „სპეცი“ „უეს“-ის ინჟენერი კოსტინი და კიდევ 2 სხვა ინჟენერი—პედგორეკი და აბესალომოვი, აგრეთვე ქ. კ. მ. მუშათა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

აღნიშნულ კომისიამ უკვე გასინჯა ამხ. სალაყაიას გამოგონება და მეტად მნიშვნელოვან გამოგონებად აღიარა იგი.

სპეც-კომისიის მიერ გამოტანილ ასეთ დასკვნის შემდეგ, ზემო ხსენებულმა 30 მუშამ კავშირს თხოვნით მიმართა, რათა კავშირმა ნება დართოს სამსახურიდან თავისუფალ დროს თავისი ხარჯით იმუშაონ გაუმჯობესებული ვაგონის დასამზადებლად ტრამვაის პარკის სახელოსნოებში. კავშირმა ჩვენი მუშების თხოვნა დააკმაყოფილა.

მუშკორი გედი.

ფეთხანის წყალსადენი.

ფეთხანის უბანი მდებარეობს ნარიყალის ციხის ქვეშ, შეფენილია მთის კალთებზე. ეს უძველესი ნაწილი ქალაქისა თავის ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ აღმართ-დაღმართიანი ქუჩებით და უმეტეს ნაწილად ნესტიანი და მინგრეულ-მონგრეული კედლებით უხმოდ ჰღაღადებს იმაზე, რომ იმ დიდ უბანში, რომელიც იწყება ბეთლემის ეკლესიიდან და თავდება **ხურჭ-გეურჭის** უბნით დასახლებულია უმეტეს ნაწილად ღარიბ-ღატაკი მუშა ხელოსნებით, რომელნიც მუდამ დღე ქანცგამოლეულნი ლუკმა-პურის ძიებაში არიან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ არა გაჭირვებულნი, დალხინებული მოქალაქე იქ იმ ვიწრო აღმართ-დაღმართიან ქუჩებში და დაზიანებულ სახლებში არც იცხოვრებს. ზაფხულში აქ მცხოვრებთ თუ უწყლობა აწუხებს, ზამთარში ეს მიდამო განუწყვეტლივ მოყინულია და იქ ასვლაც უძნელდებათ მცხოვრებლს. ზამთარში აქ ხშირი შემთხვევა არის, რომ მოუსლტლებათ ფეხი და ისე ჩამოგორდებიან ხოლმე ბარზე. იმ ხალხს, რომელთა ხვედრიც არის ასეთი ტანჯვა-წვალება ზედ ერთვის კიდევ ერთი სატანჯველი. ეს გახლავთ უწყლოობა. ხსენებულ უბანში არის ერთად-ერთი წყალსადენი. აი ამ წყალსადენთან დილიდან საღამომდის სდგას საცოდავად სიცხისაგან დაჭირხლული ხალხი ორივე სქესისა.

ყველა ცდილობს დილით ადრე მივიდეს, რიგში ჩადგეს, რომ სიგრილითვე დაბრუნდეს სახლში, მაგრამ როდესაც მივა იქ, ნახავს, რომ იმაზე ადრე სხვები მისულან და ელოდებიან წყლის გამყიდავს, რომ გასხნას წყალსადენი.

ხალხი მოუთმენლად იცდის. ზაფხულის მზე ცეცხლის სხივებს დაუზოგავად აფრქვევს არე-მარეს.

ცხელდება ქვები. სწუხდება ხალხი, ისმის შეწუხებული ხალხის ხმა, აყალმაყალი, ხშირად ჩხუბიც მოსდით. გაიმართება ცემა-ტყეპა, ვედრებისა და კოკების მოღერება და ხშირად ერთმანეთსაც უთავაზებენ, უყეფავენ ვედრებს, უტტვრევენ კოკებს. ისმის ტირილის და გოდების ხმა ყველა თავის მახლობელს ეკომაგება. ასტყდება დაუსრულებელი განგაში და ლანძღვა-გინება. **თითო ვედრა წყალი 7,500 მანეთად იყიდება.** ზოგიერთნი ფულსაც გადიხდიან და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ცარიელნიც ბრუნდებიან წყევლა-კრულვით და ლანძღვა-გინებით. საჭიროა, ყურადღება მიექცეს ამ წამებულ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას.

მუშკორი შაქრო ნავთლუღელი.

თავ-აშვებული სახლის პატრონი.

(**სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ**).

ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრია ისეთები, რომელთაც არ უგრძნიათ, თუ რა არის მუშათა ძალა-უფლება და არც ეთვისებიან მის მიერ გამოცემულ საერთო კანონებს. მაგალითად ავიღოთ მე-12-ტე უბანში ოზურგეთის ქ. № 12 ძველი სახლის პატრონი მაკარი ჰაგლეს ძე ნოვიცკი, რომელიც უდიერად ეპყრობა მდგმურებს. იყო ისეთი შემთხვევა, რომ სახლის პატრონი თავის მდგმურებს ცემითაც კი უმასპინძლდებოდა.

ამ სახლში სცხოვრობს ოც მდგმურამდე საშინელი უსუფთაობის ქვეშ; მთელი ეზო შეადგენს საშინელ უსუფთაობას, ფუშეეები, ნაგავი, საშინლად ბნელა ეზოში. მდგმურების განცხადებებს სისუფთავის შესახებ არავითარ ყურადღებას არ აქცევს და პირიქით ემუქრება მათ გადასახლებით.

სანიტარული მეთვალყურენი ვალდებულნი არიან აგრძნობინონ გაუსწორებელ სახლის პატრონს, თუ რას ნიშნავს სისუფთავე, და მდგმურების აბუჩად აგდება. ნუ თუ ეს ვაკბატონები ფულის აღებაში არიან „ხაზინები“ და სახლის სისუფთავეში კი არა? ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ყურადღების მოპყრობას ვისგანაც ჯერ-არს.

ქურის მუშა.

მუშათა ქრონიკა

— **ლექციები უმუშევართა სახადილოში.** უმუშევართა სასადილოში საბჭოთა მუშაკთა კავშირის კულტ-განყოფილების თაოსნობით მოეწყო ლექციების კითხვა. პირველი ლექცია 13 ივლისს წაიკითხა ექიმმა არუშანოვმა „ადამიანის აგებულება და მის ცხოვრება“ზე, ლექციას ასამდე უმუშევარი დაესწრო.

— **საღამოს ტეხნიკუმები მუშებისათვის** პროფ.-საბჭოს კულტ-განყოფილებამ სახ. განგ. კომ. წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა გახსნილ იქნას მუშებისათვის ბათომსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, ფოთსა და ბორჯომში საღამოს ტეხნიკუმები.

— **ხალხა ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდობისათვის.** პროფ. საბჭოს კულტ-განყოფილებამ გადასწყვიტა აუცილებლად გახსნას სკოლა რკინის გზის საქარხნო ახალგაზრდობისათვის. სკოლის საქმის მოწყობა დაევალა ტფილისის უბნის გამგეობას.

— **რკ. გზის მუშები მუშ-ფაკზე.** მომავალ სამოსწავლო წელისათვის რუსულ და ქართულ მუშ-ფაკზე რკინის გზის მუშებს დაეთმოთ 90 ადგილი. კანდიდატებს გზავნიან საქართველოს ყველა რაიონის ორგანიზაციები.

— **უმუშევრობის მოხასპობად.** უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიამ საქმის წარმატების მიზნით საჭიროდ სცნო კომისიის შემადგენლობაში მოიწვიოს წევრი ჯერის, ს. მ. უ. ს., ქალ. აღმასკომის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელნი.

სწერონ ცალკე დავთარში, რომელიც უნდა იყვეს ზონარ გაკრილი და დაბეჭდილი და შემოწმებული ადგილობრივი მმართველობის განყოფილების მიერ. დავთარშივე უნდა ჩაერთოს ყველა გასამართლებელი საბუთები და აგრეთვე ხელწერილები დამზადებული ბეჭდების მიღების შესახებ.

ყველა სახარატო (საგრავიორო) სახელოსნოები ვალდებული არიან ბეჭდის გაცემისთანავე წარმოუდგინონ ადგილობრივი მართველობის განყოფილებას ზემო-აღნიშნულ ბეჭდების ანაბეჭდები სამ ცალად, შემკვეთი პირის სახელის, გვარის თანამდებობის და აგრეთვე ბეჭდის მიმღების პირის ასეთივე ცნობების აღნიშვნით.

9. ყველა სახარატო (საგრავიორო) სახელოსნოები, მათ შორის საბჭოთა სახელოსნოებიც, ვალდებულნი არიან ადგილობრივ მმართველობის განყოფილებას ყოველთვიურად წარუდგინონ შესამოწმებლად და გაცემულ ნებართვებთან შესადარებლად, ანგარიში მათ მიერ დამზადებულ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდების შესახებ.

10. ადგილობრივი მმართველობის განყოფილებანი ვალდებული არიან იქონიონ სასტიკი მეთვალყურეობა სახარატო სახელოსნოებზე ბეჭდების დამზადების საქმეში და სათანადო ნებართვის გარეშე სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის შეკვეთის მიღებისა და ასრულებისათვის მისცენ სახელოსნოების მეპატრონეები პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 231 მუხლის ძალით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საერთო განყ. გამგე: ა. **ჩიქოვანი.**

სია

იმ დაწესებულებათა, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარებისა.

I.

1. სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.
2. სიმშვილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი.

II.

1. სახალხო კომისართა საბჭო.
2. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.
3. ს. ს. ს. რ. შავი ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველო.

III

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უწყება.

1. შინ. საქ. სახ. კომისარიატი.
2. შ. ს. ს. კ. სამოქალაქო მდგომარეობის განყოფილება.
3. შ. ს. ს. კ. საფინანსო-სამეფო განყოფილება.
4. შ. ს. ს. კ. საპატიმრო ადგილების განყოფილება.
5. სამაზრო და ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი.
6. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების მმართველობის განყოფილებანი.
7. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების კომუნალური მეურნ. განყოფილებანი.
8. თემთა აღმასკომები.
9. სამაზრო-ქალაქის და სარაიონო მილიციის სამმართველოები.
10. სისხლის სამართლის მაძებარი მილიციის სამმართველოები.
11. საპატიმრო ადგილები.
12. ზემო-ავქალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური.

IV.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყება.

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატი.
2. იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი.
3. სახალხო მოსამართლეთა საბჭო.
4. სახალხო სასამართლოები.
5. სახალხო გამომძიებლები.
6. სასამართლო აღმასრულებლები.
7. სახალხო ნოტარიუსები (უფროსები და უმცროსები).
8. უზენაესი რევტრიბუნალი.
9. დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი.
10. აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი.
11. აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი.
12. დასავლეთ საქართველოს პროკურორი.
13. უზენაესი რევტრიბუნალის პროკურორი.
14. ქართული მსროლელთა დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალი.
15. ქართული მსროლელთა დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის სამხედრო პროკურორი.
16. უბნების პროკურორის თანაშემწეები.
17. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

V.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის უწყება.

1. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.
2. ცხენთა საჯიშოების სამმართველო.
3. საკერტრინარო განყოფილება.
4. საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური (სოფ. ტაბახმელაში).
5. სატყეოების გამგეები (ლესნინი).
6. მაზრის აგრონომები.
7. საძოვართა რაიონების გამგეები.
8. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ცენტრ. საწყობი.
9. სახალხო მამულები და საცდელი დაწესებულებანი.
10. ტფილისისა და ქუთაისის საბრეშუმო სადგურები.
11. ტფილისისა და ბათომის ბოტანიკური ბაღები.
12. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების საადგილ-მამულო განყ-ნი.

VI.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უწყება.

1. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.
2. დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება.
3. საკურორტო სამმართველო.
4. ჯ. ს. კ. ფარმაცევტიული განყოფილება.
5. „კამოს“ სახელობის საავადმყოფო.
6. სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტი.
7. თვალის საავადმყოფო.
8. მთავარი საავადმყოფო.
9. ბავშვთა საავადმყოფო.
10. ფსიქიატრიული საავადმყოფო.
11. ფიზიო ტერაპევტიული ინსტიტუტი.
12. გამასწორებელი სახლის საავადმყოფო.
13. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი.
14. სასანიტარო-საგანმანათლებლო საბჭო.
15. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების ჯანმრთელობის განყ.-ნი.

VII.

განათლების სახალხო კომისარიატის უწყება.

1. განათლების სახალხო კომისარიატი.
2. სახალხო განათლების განყოფილებები მაზრებში.
3. სახელმწიფო სასწავლებლები ყველა საფეხურისა, როგორიც არის: სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, საპედაგოგიო ინსტიტუტი, უნივერსიტეტთან და პოლიტეხნიკუმთან არსებული მუშათა ფაკულ*ტეტები, ტეხნი უმები, ყველა ტიპის შრომის სკოლები, პროფესიონალური სკოლები, (სასოფლო-სამეურნეო და სხვ.) საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები, კოლეტეტორები.
4. სამხატვრო დაწესებულებანი: სახელმწიფო თეატრები, ეროვნულ სამხატვრო გალერეია და სტუდიები.
5. სამეცნიერო დაწესებულებანი: სახელმწიფო მუზეუმები, ობსერვატორიები, სეისმოგრაფიული სადგურები, სამეცნიერო საზოგადოებანი, ცენტრალური არქივი, ცენტრალური აკადემიური წიგნთსაცავი და ლუნაჩარსკის სახელობის საბავშვო წიგნთსაცავი.
6. მცირე წლოვანთა კომისია და ავეჟალის ახალშენი.
7. საქართველოს პროლეტ. კულტის საორგანიზაციო და საწარმოო ბიუროები.

VIII.

უმაღლესი სამეურნეო საბჭოს უწყება.

1. უმაღლესი სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმი.
2. ამავე საბჭოს ეკონომიური განყოფილება.
3. სამთო განყოფილება.
4. საწვავ მასალათა განყოფილება.
5. „საქართველოს ტყე“.
6. სავაჭრო ცენტრალური სამმართველო.
7. სახელმწიფო ღვინის ტრესტი.
8. ცენტრალური ტრანსპორტი (ცენტრო ტრამოტი).
9. თამბაქოს ტრესტი.
10. პოლიგრაფიული განყოფილება.
11. საპნის ტრესტის გამგეობა.
12 ლითონის განყოფილება.
13. სატყავო განყოფილება.
14. სამკერვალო განყოფილება.
15. საწონ-სიზომი პალატა.
16. სახელმწიფო საალმშენებლო კომიტეტი.
17. ტფილისის საარტილერიო მექანიკური ქარხანა.
18. ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გამყვანი კომიტეტი.
19. ჩათახის ქარხნის აღმგენელი სამმართველო.
20. სასინჯე პალატა.

IX.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომის-ტის უწყება.

1. სოციალ. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.
2. სოციალ. უზრუნველყოფის სახ. კომის-ტის ადგილობრ. რწმუნებულები.

X.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

XI.

სასურსათო სახალხო კომისარიატის უწყება.

1. სასურსათო სახალხო კომისარიატი.
2. სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულები აჭარაში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.
3. საქართველოს მიერ აზერბაიჯანში იჯარით აღებულ თევზის სამრეწველოს სამმართველო.
4. სამაზრო და ქალ. ფოთის სასურსათო კომიტეტები.
5 სასურსათო სახ. კომის-ტის როსტოვის (კონტორის სამმართველო.

XII.

შრომის სახალხო კომისარიატის უწყება.

1. შრომის სახალხო კომისარიატი.
2. ტფილისის შრომის ბირჟა.
3. ადგილობრივი შრომის განყოფილებანი.
4. შრომის ინსპექტორები.
5. დამზღვევი კასები.

XIII.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომის-ტის უწყება.

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი.
2. მუშ. და გლეხთა ინსპ. სახ. კომ. რწმუნებულთა სამმართველოები აჭარა, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში,
3. ქუთაისის, ფოთის და ტფილისის მუშათა და გლეხთა ინსპ. განყ-ნი.

XIV.

ამიერ კავკასიის ფინანსთა სახ. კომის—ტის რწმუნებ. საქართველოს უწყება საქართველოში.

1. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში.
2. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისრის საქართველოში მყოფი რწმუნებულის წარმომადგენლის სამმართველოები აჭარა, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში.
3. რაიონების ფინანსთა ინსპექტორები.
4. ხაზინები.
5. არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება.
6. არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე.
7. განყოფილების გამგის მოადგილე.
8. აქციზის უფროსი ინსპექტორები.
9. აქციზის ინსპექტორები.
10. აქციზის ინსპექტორის თანაშემწეები.
11. აქციზის კონტროლიორები.
12. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ა. **გეგეჭკორი.**

საერთო განყ. გამგე—ა. **ჩიქოვანი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

კვირას, 23 ივლისს თვ. კომიტეტის ქალთა განყოფილება აწყობს ექსკურსიას 1, 2, 3 და მე-4 საუბნო კომიტეტთა დელეგატ ქალებისათვის ავჭალაში. ყველა დელეგატი ქალები უნდა შეიკრიბნენ რკინის გზის სადგურზე დილის 7 საათზე.

ვინც აღნიშნულს საათზე არ გამოცხადდება ექსკურსიაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ქალთა განყოფილების გამგე ა ენ ი ა კ ო ვ ი ს ა.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული, შვილები ლიუბა და ალექსანდრე, რძალი ბარბალე ივანეს ასული გაფრინდაშვილი, სიძე ივანე ილიას ძე მურმანიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, დანარჩენი კი მამის

ძდვდელი ეპიფანე პავლეს ძე

კანდელაკის

გარდაცვალებას. გასვენება შაბათს, 21 ივლისს, ქ. სამტრედიაშა

ილია მალაქიას-ძე მარუაშვილი და სოფიო მიხეილას ასული შავგულიძე აუწყებენ ნათესავთა, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ პირველის დაუვიწყარი მეუღლის და მეორის დის

ელენე მიხეილის-ასულის

მარუაშვილის

ერთი წლის პანაშვიდი გადახდილი იქნება კუკიის წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზედ. კვირას, 22 ივლისს, დილის 11 საათზედ.

(№ 984—1—1)

სავალდებულო დადგენილება № 17

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

19 ივლისი 1923 წ.

პლაკატებზე, აფიშებზე და გაუშვებელ რეკლამებზე ადგილობრივ გადასახადის დაწესების შესახებ.

თანახმად ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 2 აპრილის დეკრეტისა (განაყოფი მე-3, თავი მე-3) ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1923 წ. 25 ივლისიდან გადასახადი აფიშებზე, პლაკატებზე, განცხადებებზე და გაუშვებულ რეკლამებზე.

2. გადასახადი ედება ა) ყველა აფიშებს, პლაკატებს, განცხადებებს, როგორც გამოკრულს და ქუჩებზე და მოედნებზე გამოდებულს, ისე ხელით ან ეტლით დატარებულს და ბ) გაუშვებელ რეკლამებს.

შენიშვნა: გადასახადისაგან თავისუფლდებიან: ა) ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებების და სამშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიის დადგენილება განკარგულებანი, ბ) საერთო სარგებლობისათვის გაკრული პერიოდიული გამოცემები (გაზეთები და სხ.), ვ) წარმოდგენების, ლექციების, კონცერტების და სხ. აფიშები, როდესაც მთელი შემოსავალი გადადის სტიქიურ უბედურებით დაზარალებულთა სასარგებლოთ, გ) საგიტაციო ხასიათის აფიშები და პლაკატები და დ) უფასო ლექციების და კრებების აფიშები.

3. გადასახადი წესდება შემდეგი რაოდენობით: ა) აფიშების და პლაკატების თვითეულ ოთხკუთხ ვერშოკზე 2 კაპ. (ჩერვონცებით) ყოველ ათას ცალზე.

შენიშვნა: არა სრული ასი ჩაითვლება ათასად.

ბ) გაუშვებულ რეკლამების თვითეულ ოთხკუთხ ვერშოკზე 4 კაპ. (ჩერვონცებით) თვეში.

შენიშვნა: არა სრული თვე ჩაითვლება თვეთ.

4. პლაკატების, აფიშების და განცხადებების გამომშვები ან გაუშვებულ რეკლამების მომწყობი დაწესებულებანი ან პირები ვალდებული არიან პლაკატების და აფიშების გაკვრამდე, ან რეკლამების გაუშვებამდე წარმოუდგინონ აღმასკომს ან მის რწმუნებულს პლაკატის ან აფიშის ორი ცალი ნატვიფარი (оттиск), ან გაუშვებელ რეკლამის ტექსტი სიდიდის რაოდენობის და უკანასკნელის ვადის აღნიშვნით და შეიტანოს აღმასკომის სალაროში სათანადო გადასახადი.

5. გადასახადის გადაუხდელათ და უნებართვოთ აფიშების და პლაკატების გამოკვრისათვის, ან რეკლამის გაუშვებისათვის, აგრეთვე გადასახადის შემცირების მიზნით არა სწორი ცნობების მოწოდებისათვის დამნაშავენი დასჯილი იქნებიან ადმინისტრატიული წესით: ა) დაჯარიმებით ასი (100) მანეთამდე ჩერვონცებით, ან ბ) იძულებითი მუშაობის მისჯით ვადით არა უმეტეს ორი თვისა, ან გ) გამასწორებელ სახლში დატუსაღებით ვადით არა უმეტეს ორი თვისა.

აღმასკომის თავმჯდომარე — **ხუხიშვილი.**

მდივანი — **თიკანაძე.**

სავალდებულო დადგენილება № 18.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა.

19 ივლისი 1923 წ.

სავაჭრო წამროებებში დომინოს, ნარდის, შაშკის და სხ. სათამაშოების დაშვების წესის შესახებ.

თბილისის აღმასკომის მიერ 27 ივნისის თარიღით და 13 ნოემბრით გამოცემულ სავალდებულო დადგენილების მე-3 მუხლის რედაქცია შეიცვლილ იქნას შემდეგნაირად: „წარმოებაში სათამაშოს სრულიად უნებართვოთ, ან ნებართვაში აღნიშნულ ზედმეტ კომპლექტის დაშვებისათვის, დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადებით:

ა) ჯარიმა 25—100 მანეთამდის (ჩერვონცებით),

ბ) ან იძულებითი მუშაობის მისჯით ერთი თვის ვადით და

გ) ან დაპატიმრებით არა უმეტეს ერთი თვის ვადისა.

თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი **ლ. თიკანაძე.**

კრ. 518 1—1

საქართველოს პარტიული საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორა

(ყოფ. ბაზ. ტრესტი)

ამით აცხადებს, რომ იმ ხელის-მომწერლებთ, რომელთაც არ მიუღიათ ცენტრალური (მოსკოვის) გაზეთები ივნისის და ივლისის თვეებში, უფლება აქვთ ხელის მოწერის ქვითარის წარდგენის შემდეგ მიიღონ მიუღებელ ნომრებისათვის მათი საფასური ფულად.

ასეთის გადახდა ან ახალ ხელის მოწერის ანგარიშში გადარიცხვა შეიძლება 5 დღის განმავლობაში ე. ი. 25 ივლისამდე. (3—1)

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო განყოფილება

აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა, კოოპერატივებს და კერძო პირებს, რომ 25 ივლისს, დილის 10 საათიდან, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილი საქონლები:

1.	ერევნის კონსერვები (ატშისა)	425	ფუთი
2.	ნუში (კაყსბადანი)	26	ფუთი
3.	ხანის ბრინჯი	7	ფუთი
4.	მუხუდო (მუკაშარი)	13	ფუთი
5.	ტყავი (საფიანი) მეშისა	144	ცალი
6.	„ დაშამული	250	ცალი
7.	„ დაწუნებული	211	ცალი

ვაჭრობა სიტყვიერი იქნება.

ვაჭრობის ადგილი: სახელმწიფო ვაჭრობის საწყობების (საბაჟოს ეზოში), ვაჭრობა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც მოხდეს.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ, წინდაწინვე შეაქვთ ადგილობრივ საალეიო კომისიაში 10 პროცენ. ხელშესლის ღირებულებისა 21—ნის. 515

მცირე ხანის განმავლობაში გავდიგარ სრულ კურსს ელემენტარულ

მათემატიკისას და ვამზადებ

პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე (უნივერსიტეტ. დაელინინ. [illegible] სტიტუტ. ჩასაბარებლათ: ქართულ და რუსულ ენაში ბგერიერ. [illegible] საერთო განათ. კურსებზე, საბებიო ინსტიტუტი (ქალებს). შესასვლელად ნახვა და ჩაწერვა 7—1 ს. 4—7 საათ. პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5). (978—3—2)

კოჯორის თემის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მას თავისუფალი გასაქირავებელი აგარაკები ადარ მოეპოვება.

კრ. 520—1—1

შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **აქციონერთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება დანიშნულია მიმდინარე წლის მარიამობისთვის ოცისთვის ქალაქ ჭიათურაში, 12 საათზე, თეატრის შენობაში.**

განსახილველი საკითხები:

1. საზოგადოების გამგეობის 1922 წლის მოქმედების ანგარიში.
2 სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1922 წლის მოქმედების შესახებ.
3. საზოგადოების გამგეობის მოხსენება მიმდინარე 1923 წლის მოქმედების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.
5. 1928 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6. თანამდებობის პირთა არჩევნები.

გამგეობა.

986—3—1

ინსტრუქცია

დღეს იწყება 10 პროცენტის გადარიცხვის აკრეფა ერთდღიურ ვაჭრობიდან შემოსულ თანხაზე

„შოვი“-ს სანატორიუმისა და კურორტის ასაგებად.

ამ გადარიცხვას ჰკრეფენ საამისოდ საგანგებოდ დანიშნული თანამშრომელნი, სათანადო მანდატებით აღჭურვილნი და ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის ხელმოწერილ და ბეჭედ დასმულ ქვითარების წიგნაკებით. ამკრეფნი იხელმძღვანელებენ ფინანსიური ინსპექტორების მიერ შედგენილი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ერთი დღის შემოსავლის სიით.

შეკრებილი თანხა შეტანილი იქნება ადგილობრივ ხაზინაში სანატორიუმ „შოვი“-ს საალმშენებლო კომისიის დეპოზიტში.

სანატორიუმ „შოვი“-ს მომწყობი განსაკუთრებული

516 1—1 კომისიის თავმჯდომარე: **ლეჟავა.**

ვაჭიოვიდა და იყიდება

პოეტი

იონა ვაკელის

ლექსების და პოემების 1-ლი ტომი

შარავანდედი

ფასი 1 სან. მანეთი. (1—1)

საქართველოს შინა-მრეწველობის და მეაბრეშუმეობის

გამოფენა

საქართველოს გამოფენის კომიტეტი აცხადებს, რომ 23 და 24 ამ ივლისს მუშტაიდის ბაღში შინა-მრეწველობის განყოფილების და საბრეშუმო სადგურის ბინაში მოეწყობა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო და შინა-მრეწველობის გამოფენისათვის საქართველოს გამოფენის კომიტეტის მიერ დამზადებული შინა-მრეწველობის და მეაბრეშუმეობის ექსპონატების გამოფენა.

შესვლა—უფასოა: დათვალიერება შესაძლოა დღისით 12—2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის. (კვ. 975—3—2)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული სახელმძღვანელო პრაქტიკული კურსი

ი. ფ. კალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწავლობენ ბეჭდავ ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

0—10 კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

ელექტრონის ხინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებულია

მიხეილ გედევანიშვილის ხახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის — რომელნიც ფიზიკურ ბეჭედებით ეკიდრბას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ციფუშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორდანოვის ქ. № 30. (501—25—25)

1922 წ. 6 ივლისს ჩემს მიერ ნოტარიალურად ნოესით (№ 2231) ვასილ სოფრომის ძე ზედელიანის სახელზე მიცემული რწმუნების ქაღალდი დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა **ჩაითვალოს გაუქმებულად.**

(978—1—1) **ვერმან ზედელიანი.**

დავკარგე მოწმობა მე-15 შრომის სკოლის გათავების № 290 გალინა ჭანტურაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (981—1—1)

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 2787. ლ. იმნაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (982—1—1)

დავკარგე სატენიკ ფარალიანის სახელზე გაცემული საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი № 4362. ჩაითვალოს გაუქმებულად. (985—1—1)

„ბარი ფოსტოკ-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.